ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 10 ივლისის №01-06/08
რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: გულადი წითელაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის -- ივლისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 მარტის №36 განკარგულების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებები, თანახმად დანართი №1-სა.
2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე).
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 აპრილის №გ-95.95261144 განკარგულება.
5. ამ განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

დანართი №1.

ქედის მუნიციპალიტეტი
2026 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

N	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	დანდალო	დანდალო	347	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
2		ბალაძეები	116	10000	მზა ბეტონის შემენა	10000	
3		გოგიაშვილები	194	10000	მზა ბეტონის შემენა	10000	
4		მოსიაშვილები	169	10000	მზა ბეტონის შემენა	10000	
5		ტაკიძეები	186	10000	მზა ბეტონის შემენა	10000	
6		ხარაულა	639	16000	მზა ბეტონის შემენა	16000	
7		ჯალაბაშვილები	310	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
			ჯამი	80000		80000	
8	ცხმორისი	ცხმორისი	600	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
9		ახო	594	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
10		გეგელიძეები	428	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
11		გობრონეთი	251	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
12		კოკოტაური	545	16000	მზა ბეტონის შემენა	16000	
13		ჩეტკიძეები	187	10000	მზა ბეტონის შემენა	10000	
			ჯამი	86000		86000	
14	წონიარისი	წონიარისი	499	16000	მზა ბეტონის შემენა	16000	
15		აბუქეთა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
16		ვარჯანისი	185	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
17		კანტაური	76	10000	მზა ბეტონის შემენა	10000	
18		საბადური	57	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
19		ტიბეთა	154	10000	მზა ბეტონის შემენა	10000	
20		სასადილოყელი	17	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
			ჯამი	78000		78000	
21	ზვარე	ზვარე	201	12000	მზა ბეტონის შემენა	12000	
22		ვაიო	409	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
23		ზესოფელი	205	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
24		კვაშტა	279	12000	მზა ბეტონის შემენა	12000	
25		სირაბიძეები	252	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
			ჯამი	64000		64000	
26	დაბა ქედა	არსენაული	89	10000	სასაფლაოების შემოღობვა	10000	
27		აქუცა	262	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
28		გულები	235	12000	მზა ბეტონის შემენა	8100	
					გარე განათების მოწყობა	3900	
29		ზენდიდი	297	12000	ბილიკის მოწყობა	12000	
30		კორომხეთი	160	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
31		ორცვა	232	12000	მზა ბეტონის შემენა	12000	
32		ქედა	149	10000	მზა ბეტონის შემენა	10000	
33		შევაბური	89	10000	მზა ბეტონის შემენა	10000	
34		ცხემნა	156	10000	მზა ბეტონის შემენა	10000	
35		ძენწმანი	197	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
36		ხუნკუდა	122	10000	სასმელი წყლის ავზის მშენებლობა	10000	
			ჯამი	118000		118000	

37	პ/მაისი	პ/მაისი	525	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
38		ზედა აგარა	106	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
39		კოლოტაური	473	16000	გარე განათების მოწყობა	10000	
					ელექტრო წისქვილის რემონტი	6000	
40		ქვედა აგარა	109	10000	გარე განათების მოწყობა	7300	
					მზა ბეტონის შეძენა	2700	
			ჯამი	**52000**		**52000**	
41	მახუნცეთი	ქვედა მახუნცეთი	439	16000	მზა ბეტონის შეძენა	9000	
					გარე განათების მოწყობა	7000	
42		ზედა ბზუბზუ	306	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
43		ზედა მახუნცეთი	203	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
44		ზუნდაგა	299	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
45		ქვედა ბზუბზუ	261	12000	საცალფეხო ბილიკის მოწყობა	12000	
46		ქოსოფელი	72	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
47		მილისი	123	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
48		ნამლისევი	158	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
49		უჩხითი	260	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
			ჯამი	**106000**		**106000**	
50	დოლოგანი	დოლოგანი	417	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
51		ჭალახმელა	162	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
52		ჭინკაძეები	202	12000	პოლიეთილენის ავზი, ცილინდრულ-ჰორიზონტალური, ორშრიანი, ტევადობა 5000 ლიტრი	1800	
					4000 გრძივი მეტრი დ= 50 მმ პოლიეთილენის მილი და 25 ცალი გადასაბმელი	10200	
			ჯამი	**38000**		**38000**	
53	ოქტომბერი	ოქტომბერი	247	12000	მზა ბეტონის შეძენა	2000	
					გარე განათების მოწყობა	10000	
54		აგოთა	122	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
55		გოგინიძეები	95	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
56		კუჭულა	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
57		მეძიბნა	188	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
			ჯამი	**54000**		**54000**	
58	მერისი	მერისი	300	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
59		გარეტყე	89	10000	საპირფარეშოს მშენებლობა	10000	
60		გუნდაური	218	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
61		ინაშარიძეები	200	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
62		ნამონასტრევი	60	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
63		სილიბაური	117	10000	მზა ბეტონის შეძენა	5000	
					გარე განათების მოწყობა	5000	
64		სიხალიძეები	148	10000	მზა ბეტონის შეძენა	5000	
					გარე განათების მოწყობა	5000	
			ჯამი	**74000**		**74000**	
			სულ ჯამი	**750000**		**750000**	

განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 მარტის №36 განკარგულების მოთხოვნათა შესრულება, შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივ რეგულაცია.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

2026 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის 30 მარტის №36 განკარგულებით, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის გამოყოფილია 750 000 ლარი. მიმდინარე წლის აპრილის თვეში, სოფლებში ჩატარებული მოსახლეობის კრებების მიერ განისაზღვრა აღნიშნული თანხებით განსახორციელებელი პროექტები ცალკეულ სოფლებში, რის მიხედვით შედგენილი იქნა შესაბამისი ოქმები და წინამდებარე პროგრამა, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2026 წლის 24 აპრილის №გ-95.95261144 განკარგულებით იქნა დამტკიცებული და შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაწყებულია სამუშაოები პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მიზნით.

გაცნობებთ რომ აღნიშნულ პროგრამაში სოფელ ჭინკაძეებისთვის გამოყოფილია 12000 ლარი და ჩატარებული კრების შედეგად მოსახლეობის მოთხოვნით დაიგეგმა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, რომელიც პროგრამაში გაწერილია შემდეგი სახით: - სასმელი წყლის სისტემისათვის 5 ტონიანი პლასტმასის ავზისა და 50 მმ-იანი მილების შეძენა - 12000 ლარი. ვინაიდან CPV კოდები პოლიეთილენის მილების (გადასაბმელების) და პოლიეთილენის ავზისა სხვადასხვაა, აღნიშნული მასალების შეძენაზე გაფორმებულია ორი ხელშეკრულება. რის გამოც საჭირო გახდა აღნიშნული პროგრამის დანართში ცვლილების შეტანა, კერძოდ: სოფელ ჭინკაძეებისთვის გამოყოფილი ხარჯების და პროექტის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „პოლიეთილენის ავზი, ცილინდრულ-ჰორიზონტალური, ორშრიანი, ტევადობა 5000 ლიტრი - 1800 ლარი“.

- „4000 გრძივი მეტრი დ=50 მმ პოლიეთილენის მილი და 25 ცალი გადასაბმელი - 10200 ლარი“. აქედან გამომდინარე აღნიშნული ცვლილება არ ცვლის მოსახლეობის მიერ დაგეგმილი პროექტის შინაარსი, რადგან კორექტირება შედის მხოლოდ პროექტის დასახელებაში, რათა მომწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება მოხდეს დროულად და დაუბრკოლებლად.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცებულ პროგრამაში ცვლილების შეტანა და მისი ახალი რედაქციით დამტკიცება ქედის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს მიერ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩამონათვალი თუ რომელ სოფელში რა ღონისძიება უნდა განხორციელდეს განკარგულების პროექტს დანართის სახით თან ერთვის.

ასევე განმარტავთ, რომ ცვლილება შედის მხოლოდ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით „52-ე“ გრაფაში სოფელ ჭინკაძეებისათვის გათვალისწინებული ღონისძიების დასახელებაში კერძოდ სასმელი წყლის სისტემისათვის 5 ტონიანი პლასტმასის ავზისა და 50 მმ-იანი მილების შეძენა - 12000 ლარი. შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით

- „პოლიეთილენის ავზი, ცილინდრულ-ჰორიზონტალური, ორშრიანი, ტევადობა 5000 ლიტრი - 1800 ლარი“.

- „4000 გრძივი მეტრი დ=50 მმ პოლიეთილენის მილი და 25 ცალი გადასაბმელი - 10200 ლარი“.

ხოლო პროგრამის სხვა ღონისძიებები დარჩა უცვლელად.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 750 000 ლარს ფარგლებში.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 750 000 ლარს ოდენობით. რომლითაც განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია ან/და კეთილმოწყობა, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვა, ან/და გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვა.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ 750 000 ლარს ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური (სამსახურის უფროსი გ. წითელაძე).

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №2

2019 წლის 28 თებერვალი

ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 91^1 მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 19^1 მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები“, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე**

დანართი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე

არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების

ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე

არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის

ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის

პროცედურები და კრიტერიუმები

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა და თანხის გამოყოფა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) მოსახლეობის რაოდენობის თაობაზე სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (გარდა ადმინისტრაციული ცენტრებისა) ახორციელებს თითოეული დასახლებისათვის განსაზღვრული თანხის გაანგარიშებას.

2. იმ შემთხვევაში, თუ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს არ გააჩნია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, მაგრამ დასახლება რეგისტრირებულია სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მუნიციპალიტეტების რეესტრში, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი უზრუნველყოფს ამ დასახლებაში დასახლების საერთო კრების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულ-ტაციების ჩატარების ორგანიზებას და დასახლების საერთო კრების ოქმის/რეგისტრირებულ ამომრჩეველთან კონსულტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების, დასახლებაში არსებული მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად სამინისტროსათვის წარდგენას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპის დაცვით:

ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი;

ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი;

გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 401-დან 1000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16 000 ლარი;

დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20 000 ლარი.

4. სამინისტრო, ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, დასახლებებისათვის განსაზღვრული თანხის გაანგარიშების შემდეგ, ამზადებს შესაბამის ინფორმაციას, რომელშიც აისახება მუნიციპალიტეტებისათვის გამოსაყოფი თანხის ოდენობა.

5. სამინისტრო, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, დასახლებებისათვის განსაზღვრული თანხის გაანგარიშების შემდეგ დამატებით ამზადებს შესაბამის ინფორმაციას, რომელშიც აისახება მუნიციპალიტეტებისათვის დამატებით გამოსაყოფი თანხის ოდენობა.

6. სამინისტრო ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების პროექტს და დასამტკიცებლად წარმოუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავ-რობას.

7. პროექტებისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებას შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერი.

8. დასახლებაში პროექტის შერჩევა ხორციელდება ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;

ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ ასმა ამომრჩეველმა;

გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ ორასმა ამომრჩეველმა.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების ორგანიზებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

10. თუ დასახლების საერთო კრების ან ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების შედეგად, ორმა ან მეტმა საპროექტო წინადადებამ მიიღო სხვებზე მეტი ან/და თანაბარი რაოდენობის ხმა, გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც, დასახლების საჭიროებებიდან გამომდინარე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებაში განსახორციელებლად შეარჩევს კენჭისყრით გამოვლენილი საუკეთესო და ერთნაირი შედეგის მქონე საპროექტო წინადადებას/წინადადებებს.

11. მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს დასახლებების მიხედვით შესაბამის პროექტებს (მათ შორის, სავარაუდო ღირებულების მითითებით). ცვლილება საკრებულოს მიერ დამტკიცებულ პროექტებში ხორციელდება ამ წესით დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით.

12. მუნიციპალიტეტის საკრებულო, ამ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, დასახლებების (გარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრისა) მიხედვით ანაწილებს შესაბამისი მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრულ თანხას.

13. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კონკრეტული დასახლებისათვის გამოყოფილი თანხა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად.

14. შესაბამისი დასახლებების საერთო კრებების მიერ ან რეგისტრირებულ ამომრჩეველთან გამართული კონსულტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, შესაძლებელია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ამ დასახლებებისათვის გამოყოფილი თანხა, მათი საერთო საჭიროებებიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნეს საერთო პროექტის დასაფინანსებლად.

15. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებისათვის (შემდგომში – პროექტები) გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ეკონომიები განაწილდება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №5 დადგენილების შესაბამისად.

16. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრული თანხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, მიმდინარე წლის 1 მაისამდე სრულად გაუნაწილებლობის შემთხვევაში, დარჩენილი თანხა განაწილდება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №5 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 2. პროექტების ჩამონათვალი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებია:

ა) სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის, ჭაბურღილები, წყალსადენები, ჭა და ა.შ.

გაწმენდებით); წყაროების მოპირკეთება;

ბ) სარწყავი სისტემები;

გ) სანიაღვრე არხები;

დ) ნაპირსამაგრი სამუშაოები;

ე) გზები;

ვ) ხიდები, ცხაურები, ხიდბორგები, გადასასვლელები;

ზ) გარე განათება;

თ) სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

ი) სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;

კ) ამბულატორიის შენობები;

ლ) კულტურის ობიექტები;

მ) სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;

ნ) სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით;

ო) წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;

პ) სასაფლაოს შემოღობვა;

ჟ) თავშეყრის ადგილები, მოსაცდელები;

რ) მინიჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა.

მუხლი 3. პროექტებისათვის გათვალისწინებული თანხის ათვისების პროცედურა

1. პროექტებისათვის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების საფუძველზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხა გამოყენებული უნდა იქნეს წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მუნიციპალიტეტი.

მუხლი 4. თანადაფინანსება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება შესაძლებელია საერთაშორისო ან/და დონორი ორგანიზაციების ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტული პროექტისათვის ფონდიდან გამოყოფილი თანხის 100 პროცენტს.

მუხლი 5. პროექტების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი

1. პროექტების მიმდინარეობისა და შესრულების საერთო კოორდინაციასა და მონიტორინგს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამინისტრო.
2. სამინისტრო ვალდებულია, პერიოდულად მოითხოვოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტებიდან პროექტების მიმდინარეობის შესახებ. სამინისტრო ახდენს ინფორმაციის შესწავლას, ანალიზს და შესაბამის ინფორმაციას წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წელიწადში ერთხელ – არაუგვიანეს მომდევნო წლის 15 თებერვლისა.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 36

2026 წლის 30 მარტი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილებითა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებს გამოეყოს არაუმეტეს 4 194 000 (ოთხი მილიონ ას ოთხმოცდათოთხმეტი ათასი) ლარი, კერძოდ:

ა) ქობულეთის მუნიციპალიტეტს არაუმეტეს 846 000 (რვაას ორმოცდაექვსი ათასი) ლარი, თანახმად №1 დანართისა;

ბ) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს არაუმეტეს 968 000 (ცხრაას სამოცდარვა ათასი) ლარი, თანახმად №2 დანართისა;

გ) ქედის მუნიციპალიტეტს არაუმეტეს 750 000 (შვიდას ორმოცდაათი ათასი) ლარი, თანახმად №3 დანართისა;

დ) შუახევის მუნიციპალიტეტს არაუმეტეს 628 000 (ექვსას ოცდარვა ათასი) ლარი, თანახმად №4 დანართისა;

ე) ხულოს მუნიციპალიტეტს არაუმეტეს 1 002 000 (ერთი მილიონ ორი ათასი) ლარი, თანახმად №5 დანართისა.

2. ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებმა (ი. ცეცხლაძე, ზ. დიასამიძე, მ. თურმანიძე, ო. ტაკიძე, ვ. ბერიძე) უზრუნველყონ გამოყოფილი თანხების წარმართვა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილების შესაბამისად.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ე. ნატარიძე) მოახდინოს შესაბამისი მიზნობრივი დაფინანსება.

4. ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერიებმა (ი. ცეცხლაძე, ზ. დიასამიძე, მ. თურმანიძე, ო. ტაკიძე, ვ. ბერიძე) დააწესონ მკაცრი კონტროლი განკარგულებით გამოყოფილი თანხების მიზნობრივ განკარგვაზე და უზრუნველყონ დაფინანსებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე **სულხან თამაზაშვილი**

2003-02-2-202603311511
https://edocument.ge/AdjaraGov/public

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის 2026 წლის 30 მარტის
№36 განკარგულების
დანართი №3

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ქედის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხები

დასახელება	**მოსახლეობის რიცხოვნობა**	**თანხა (ლარი)**
ქედის მუნიციპალიტეტი	**X**	**750 000**
არსენაული	89	10 000
აქუცა	262	12 000
გულები	235	12 000
ზენდიდი	297	12 000
კორომხეთი	160	10 000
ორცვა	232	12 000
ქედა	149	10 000
შევაბური	89	10 000
ცხემნა	156	10 000
ძენწმანი	197	10 000
ხუნკუდა	122	10 000
დანდალო	347	12 000
ბალაძეები	116	10 000
გოგიაშვილები	194	10 000
მოსიაშვილები	169	10 000
ტაკიძეები	186	10 000
ხარაულა	639	16 000
ჯალაბაშვილები	310	12 000
დოლოგანი	417	16 000
ჭალახმელა	162	10 000
ჭინკაძეები	202	12 000
ზვარე	201	12 000
ვაიო	409	16 000
ზესოფელი	205	12 000
კვაშტა	279	12 000
სირაბიძეები	252	12 000
ქვედა მახუნცეთი	439	16 000
ზედა ბზუბზუ	306	12 000
ზედა მახუნცეთი	203	12 000
ზუნდაგა	299	12 000
ქვედა ბზუბზუ	261	12 000
ქოსოფელი	72	10 000
მილისი	123	10 000
ნამლისევი	158	10 000

უჩხითი	260	12 000
მერისი	300	12 000
გარეტყე	89	10 000
გუნდაური	218	12 000
ინაშარიძეები	200	10 000
ნამონასტრევი	60	10 000
სილიბაური	117	10 000
სიხალიძეები	148	10 000
ოქტომბერი	247	12 000
აგოთა	122	10 000
გოგინიძეები	95	10 000
კუჭულა	201	12 000
მეძიბნა	188	10 000
პირველი მაისი	525	16 000
ზედა აგარა	106	10 000
კოლოტაური	473	16 000
ქვედა აგარა	109	10 000
ცხმორისი	600	16 000
ახო	594	16 000
გეგელიძეები	428	16 000
გობრონეთი	251	12 000
კოკოტაური	545	16 000
ჩეტკიძეები	187	10 000
წონიარისი	499	16 000
აბუქეთა	279	12 000
ვარჯანისი	185	10 000
კანტაური	76	10 000
საბადური	57	10 000
ტიბეთა	154	10 000
დამატებითი სოფლები *	**X**	**X**
სასადილოყელი	33	10 000

* დასახლება, რომელსაც არ გააჩნია რეგისტრირებული მოსახლეობა, ხოლო ფაქტობრივი მონაცემებით დასტურდება დასახლებაში მოსახლეობის ცხოვრების ფაქტი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილება).

ს წ ო რ ი ა: